ბრძანება:**ბ47.47220182**

თარიღი:**18/01/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა

სამუშაო აღწერილობისა და დამატებითი საკვალიფიკაციო

მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობა და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართის შესაბამისად.

2.ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 10/07/2017 წლის N124 ბრძანება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სამუშაო აღწერილობებისა და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი